



ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ თემთა მედეგობის გაძლიერებისთვის

პროექტი - „ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ თემთა მედეგობის გაძლიერებისთვის“ მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების, როგორც საერთო გამოწვევის, შემცირებას/მართვას ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების (NBS) გზით, რაც ხელს შეუწყობს თემების მედეგობის გაუმჯობესებას საქართველოსა და თურქეთში. პროექტი ტრანსნაციონალური ხასიათისაა და გულისხმობს შავი ზღვის აუზის 3 ქვეყნის 4 ორგანიზაციას შორის (GIPA, Ecolution Georgia, WRI Türkiye და FRI) თანამშრომლობას და ბერძნული მხარის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას.

პროექტის მთავარი ამოცანაა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ თემების მოწყვლადობის შემცირება ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების (NBS) დანერგვის გზით. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების მდგრად და ინოვაციურ ალტერნატივებს გვთავაზობს. ეკოსისტემების კონსერვაციისა და აღდგენის ხელშეწყობით, პროექტი უზრუნველყოფს თემების მედეგობის გაუმჯობესებას, რისკის შემცირებასა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას.

პროექტის განხორციელების შედეგად, შეფასდება სამიზნე ტერიტორიების მოწყვლადობა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები კი უზრუნველყოფს მათ ეფექტურობასა და მდგრადობას.

თანამონაწილეობითი მიდგომით, პროექტის განხორციელებაში ჩაერთვებიან ადგილობრივ თემები, სამთავრობო უწყებები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ამასთანავე, პროექტი უზრუნველყოფს ტრენინგ პროგრამებსა და სამუშაო შეხვედრებს, დაინტერესებული მხარეებისთვის NBS-ის დანერგვისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გასაუმჯობესებლად.

ტრანსნაციონალური თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროექტის წარმატებაში. ქართულ, თურქულ და ბერძნულ მხარეებს შორის თანამშრომლობა, დაეხმარება ქვეყნებს საერთო გამოწვევის ერთობლივად გადაჭრაში, გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკისა და ცოდნის გაზიარების გზით. ქვეყნების შორის თანამშრომლობა, უზრუნველყოფს პროექტის წვდომას საერთაშორისო ექსპერტებსა, ინოვაციური ტექნოლოგიებსა და შესაძლებლობების უფრო ფართო სპექტრზე, რაც ზრდის პროექტის საერთო გავლენასა და მის ეფექტურობას.

პროექტი დაეხმარება, საქართველოში, აჭარის რეგიონის ექვს მუნიციპალიტეტს, ხოლო თურქეთში, ჩრდილოეთ მარმარას რეგიონის შვიდ მუნიციპალიტეტს შეამცირონ კატასტროფის რისკი და გაზარდონ ადგილობრივი თემების მედეგობა. შერჩეულ სამიზნე მუნიციპალიტეტებისთვის ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების სამოქმედო გეგმის შემუშავება, ხელს შეუწყობს ეკოსისტემების აღდგენასა და დაცვას, ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებას, რაც სარგებებს მოუტანს როგორც ადამიანებს, ასევე გარემოს. ამასთანავე, პროექტი ქვეყნებს დაეხმარება მდგრად განვითარებაში, კლიმატთან ადაპტაციის, სიღარიბის შემცირებისა და სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობის გზით.

NBS-ის განხორციელებით, ადგილობრივი თემების ჩართულობით და პარტნიორობის ხელშეწყობით, პროექტი მიზნად ისახავს მიაღწიოს მდგრად ცვლილებებს, გააუმჯობესოს თემების მედეგობა და უზრუნველყოს კლიმატისადმი მედეგი მომავალი.

პროგრამის პრიორიტეტი: სუფთა და მწვანე რეგიონები

პროგრამის მიზანი: კლიმატის ცვლილების ადაპტაციის, კატასტროფის რისკის პრევენციისა და მედეგობის ხელშეწყობა, ეკოსისტემებზე დაფუძნებული მიდგომებით.

პროექტის მიზანი: კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების შემცირება ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების (NBS) გზით, რაც ხელს შეუწყობს თემების მედეგობის გაუმჯობესებას საქართველოსა და თურქეთში.



პროექტის ამოცანები:

- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ თემების მედეგობის გაუმჯობესება;
- კატასტროფის რისკის შემცირების მიზნით ეკოსისტემების კონსერვაცია და აღდგენა;
- საქართველოს, თურქეთსა და საბერძნეთს შორის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა.

ძირითადი აქტივობები:

- NBS-ის საუკეთესო პრაქტიკის, კვლევის შედეგებისა და პოლიტიკის მიდგომების შესწავლა ადგილობრივ კონტექსტზე მისადაგების და ადაპტირების მიზნით;
- საჭიროებების თანამონაწილობრივი შეფასება და დაინტერესებული მხარეების რუკის შემუშავება, ადგილობრივ დონეზე;
- მუნიციპალურ დონეზე ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების შესახებ სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების რეპლიკაციის გზამკვლევის მოშადაება;
- ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების შესახებ სასწავლო კურსის შემუშავება მუნიციპალიტეტების და არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციებისთვის, და მათი დატრენინგება;
- სამუშაო შეხვედრები პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში NBS-ის ინტეგრირებისა და სექტორთაშორისი კოორდინაციის ხელშეწყობისათვის;
- ცნობიერების ამაღლების კამპანიები ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების შესახებ.

მოსალოდნელი მიღწევები:

- ტრანსნაციონალური თანამშრომლობა ქართულ, თურქულ და ბერძნულ მხარეებს შორის, გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკისა, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ცოდნის გაზიარების გზით;
- კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ხელშეწყობა;
- კატასტროფების რისკის პრევენცია და თემების მედეგობის გაუმჯობესება ეკოსისტემაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით.

მთლიანი ბიუჯეტი: EUR 549,899.00

ევროკავშირის დაფინანსება: EUR 494,909.10

პროექტის განხორციელების პერიოდი: ივლისი, 2024 – იანვარი, 2026

სამიზნე ქვეყნები/რეგიონები: საქართველო (აჭარა), თურქეთი (ჩრდილოეთ მარმარა) და საბერძნეთი (კენტრიკი მაკედონია).

პარტნიორი ორგანიზაციები:

- GIPA – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
- ეკოლუშენ საქართველო
- WRI Türkiye
- ტყის კვლევის ინსტიტუტი - HELLENIC AGRICULTURAL ORGANIZATION – DIMITRA



პროექტის სახელწოდება: ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ თემთა მედეგობის გაძლიერებისთვის

პუბლიკაციის ავტორი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის განვითარებისა და პირობების განვითარების დეპარტამენტი (DRDVE of GIPA)

საკონტაქტო ინფორმაცია: drdve@gipa.ge / <https://gipa.ge> / + 995 591 194 313

გამოცემის თარიღი: 2024 წლის სექტემბერი

ამ პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორ(ებ)ს. მასალის შინაარსი არ წარმოადგენს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას. რეპროდუქცია ნებადართულია წყაროს დადასტურებით და ნებისმიერი ცვლილების მითითებით.